



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

9 მაისი
სუთხაბათი
2024 წელი
№19 (9333)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას უძღვევებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიძე.

დებუტატებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და განეული მუშაობა დადებითად შეაფასეს;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირის, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი, 2024 წლის სოციალური დახმარების პროგრამისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №N43 დადგენილებაში;

ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №N44 დადგენილებაში;

ამიერიდან უმაღლეს სასწავლებელში 100 პროცენტთან ერთად ჩარიცხული ერთჯერადად მიიღებს 1000 ლარს, 70 პროცენტთან - 700 ლარს, ხოლო 50 პროცენტთან - 500 ლარს.

დებუტატებმა თანხმობა მისცეს ქალაქის მერს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერისთვის“, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე;

ასევე თანხმობა მისცეს „ბორჯომი-ბაკურიანის გზატკეცილი“-ს მიმდებარედ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების გადაცემა-მასთან დაკავშირებით და ბორჯომში რუსთაველის ქუჩის და მესხეთის ქუჩის მიმდებარედ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით;

ცვლილება შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წლის 28 ივნისს დადებულ N№208 იჯარის ხელშეკრულებაში“;

ორი წლით ვადა გაუგრძელდა ხელშეკრულებას ნალვერში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ უძრავ ქონებას.

ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელსა და დაბებზე თანხის გადანაწილების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის განკარგულებაში;

ასევე ცვლილებები შეიტანეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2024-2025 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწოდების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის განკარგულებაში;

მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა“-ის და ა(ა)იპ „ბორჯომი გამწვანება 2012“ ხელმძღვანელების ინფორმაცია 2023 წელს განეული მუშაობის და 2024 წლის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დებუტატებმა მათი მუშაობა დადებითად შეაფასეს.

12 მაისი იმედი ღელდ გამოხსნა

წმინდა სინოდის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, 12 მაისი, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნილზედომობის დღედ დადგინდა და ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ეროვნულ დღესასწაულად - იმედის დღედ გამოცხადდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ამ უდიდესი მადლის განახლება შექმნა ხატისა „ღვთისმშობლის ნილზედომი საქართველო“, რომელიც იქნება ჩვენი ერის ქვეყნის სარწმუნოებაში გამთლიანების საღვთო გვიგონი.

ხატი დაინერა 2020 წელს, დაბრძანებულია თბილისის ყოვლადწმიდა სამების ტაძარში. მისი მცირე ზომის ასლმა, რომელიც 2023 წელს შეიქმნა, პატრიარქის კურთხევით, მოიარა საქართველოს ყველა ეპარქია. ახლა კი თითოეულ ქრისტიანულ ოჯახს აცხებს მისი მადლი.

ღმერთმა იმედი და ბედნიერება არ მოაკლოს ჩვენს სამშობლოს!



დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, აპრილში 1 1 805 ბენეფიციარს 364 966 ლარის დახმარება გაენიჭა მათ შორის:

200 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 165 599 ლარი გამოიყო; 133 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 25 660 ლარით დაფინანსდა; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 27 პაციენტს 20 974 ლარი დაფინანსება გამოეყო;

109 მრავალშვილიანი ოჯახი 26 200 ლარით დაფინანსდა; 299 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 040 ლარით დაფინანსდა; ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ალფონსის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალური პროგრამები ჩართულ 741 ბენეფიციარს საჩუქრად 100-100 ლარი ჩაურიხსა.

ფულადი დახმარება მიიღო: მრავალშვილიანმა ოჯახებმა; დედ-მამით ობობმა 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა; 18 წლამდე ასაკის შშმ პირებმა; მარტოხელა მშობლებმა; მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულმა პირებმა; მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილი ოჯახის წევრებმა; ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი ოჯახის წევრებმა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებმა; (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160 000-ს) საქართველოს მთლიანობისთვის ომის შშმ პირებმა (მათ შორის დევნილები); ავღანეთის ომის ვეტერანებმა; ჩერნობილის ავარიის დროს მონაწილემ პირებმა; 18 წლის ზევით საპენსიო ასაკამდე 1 ჯგუფის შშმ პირებმა; ბენეფიციარებს აღნიშნული პროგრამით სარგებლობა წელიწადში 2-ჯერ როგორც აღდგომის, ასევე ახალი წლის დღესასწაულზე შეუძლიათ.

აღინიშნა დედამიწის დღე



დედამიწის დღე 1970 წლიდან აღინიშნება და ის, საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი საერო საღვთისმშობლის დღე, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ყოველწლიურად მილიარდზე მეტი ადამიანი აღნიშნავს. დედამიწის დღე აღინიშნება საქართველოში არსებულ ყველა საჯარო სკოლაში.

საკმაოდ ორიგინალურად აღნიშნეს დედამიწის დღე ბორჯომის №1 საჯარო სკოლის V(ბ) კლასის მოსწავლეებმაც.

მოსწავლეებმა, რესურსად გამოიყენეს სკოლის დირექტორის, ქალბატონ ჯულიეტა ჯინჯოლაძის მიერ შექმნილი თემატური ვიდეოკოლაჟი, გაიმართა მსჯელობა, რასაც მოჰყვა Vბ კლასის მოსწავლის, ივლიტა ყაულაშვილის მიერ შექმნილი დიორამა - „მომყვნილი დედამიწა შევლას ითხოვს“. კლასის დამრიგებელმა, ქალბატონმა ლია გულიკაშვილმა მოსწავლეთა ერთად გადაწყვიტა, რომ ამ დღის აღსანიშნავად ტრადიციულად აქციონ ყოველი წლის 22 აპრილს ხეების დარგვა და დასუფთავების აქციების მოწყობა მშობლების აქტიური ჩართულობით! სწორედ ეს იქნება მათი პასუხი მოწყვნილი დედამიწისათვის, ნუ გეშინია, ჩვენ არ მიგატოვებთ, ერთად ყველაფერს შევძლებთ! სიყვარული გადაგვარჩენს!!!

ახალგაზრდების ინიციატივების მხარდასაჭერად!

საგრანტო კონკურსის მიზანია ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ახალგაზრდების გაძლიერება, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის, ხარისხიანი სერვისების შექმნისა და მათი ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდულ ორგანიზაციას;

ფიზიკურ პირს, რომელიც საგრანტო პროექტის განხორციელების მიზნით, საინიციატივო ჯგუფში აერთიანებს რეგიონში მცხოვრებ არანაკლებ ხუთ ახალგაზრდას.

კონკურსის საერთო ბიუჯეტი 600 000 ლარი. ერთი საგრანტო პროექტის მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს 15 000 ლარს.

საკონკურსო განაცხადები მიიღება ყოველი თვის 13 რიცხვიდან 25-ის ჩათვლით, ელექტრონულ ფოსტაზე - grants-1@youthagency.gov.ge. საგრანტო კონკურსი სრულდება 2024 წლის 10 ნოემბერს.

სამუსიკო სკოლის წარმატებები

ბორჯომის სამუსიკო სკოლაში 272 მოსწავლე ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სწავლობს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ბორჯომის სამუსიკო სკოლას არაერთი წარმატებული მოსწავლე ჰყავს. აქ სწავლება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ხშირად ბრუნდებიან გამარჯვებულები ფესტივალებიდან, კონცერტებიდან, კონკურსებიდან.



